თბილისი 2021 წლის 5 თებერვლის

თსუ რექტორის 2020 წლის 7 დეკემბრის N240/01-01 და N241/01-01 ბრძანებების ("სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე პროფესორის და ასისტენტ-პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ"), აღსრულების მიზნით, თსუ აკადემიური საბჭოს N9/2021 2021 წლის 25 იანვრის N2 სხდომის დადგენილებით - „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე პროფესორის და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საკონკურსო სააპელაციო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" - დამტკიცებული

საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი #2

<u>სხდომას ესწრებოდნენ</u>:

გია ლობჟანიძე (თსუ პროფესორი) - თავმჯდომარე
მაია ხუბუა (თსუ ასოცირებული პროფესორი) - მოადგილე
ია კირვალიძე (თსუ ასისტენტ პროფესორი) - მდივანი
თეიმურაზ დოჭვირი (თსუ ასოცირებული პროფესორი)
მაია ბიწკინაშვილი (თსუ ასოცირებული პროფესორი)

<u>დღის წესრიგი:</u>

- თსუ მედიცინის ფაკულტეტზე ფსიქიატრიის და სამედიცინო ფსიქოლოგიის კათედრის პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის, დავით ზურაბაშვილის მიერ გაკეთებული მოხსენება;
- თსუ მედიცინის ფაკულტეტზე კლინიკური ქირურგიის კათედრის ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის, ოთარ კეპულაძის მიერ გაკეთებული მოხსენება;

<u>მოისმინეს:</u>

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორ დავით ზურაბაშვილის და მედიცინის დოქტორ ოთარ კეპულაძის მინი მოხსენებები, მათიი სამეცნიერო საქმიანობის თაობაზე. კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ გია ლობჟანიძის ინიციატივით, კანდიდატებმა დეტალურად მიმოიხილეს საკუთარი პედაგოგიური გამოცდილება და ის კურსები, რომლის წაკითხვასაც სთავაზობენ მედიცინის ფაკულტეტს.

აზრი გამოთქვეს:

მაია ბიწკინაშვილმა და თეიმურაზ დოჭვირმა. მათ აღნიშნეს რომ კარგად იცნობენ კანდიდატების სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას და მიაჩნიათ ღირსეულ კანდიდატებად თსუ მედიცინის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები:

საარჩევნო ყუთის გახსნისას მასში აღმოჩნდა 10 ბიულეტენი. გაფუჭებული ბიულეტენები არ აღმოჩნდა. კომისიის ხუთივე წევრმა ხმა მისცა თსუ მედიცინის ფაკულტეტზე ფსიქიატრიის და სამედიცინო ფსიქოლოგიის და კლინიკური ქირურგიის კათედრების პროფესორის და ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორ დავით ზურაბაშვილის და მედიცინის დოქტორ ოთარ კეპულაძის არჩევას.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს კენჭისყრის შედეგები;
2. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი დავით ზურაბაშვილი არჩეულ იქნას თსუ მედიცინის ფაკულტეტის ფსიქიატრიის და სამედიცინო ფსიქოლოგიის კათედრის პროფესორად; მედიცინის დოქტორი ოთარ კეპულაძე არჩეულ იქნას თსუ მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური ქირურგიის კათედრის ასისტენტ -პროფესორად;

კომისიის წევრების ხელმოწერა

გია ლობჟანიძე (თსუ პროფესორი) - თავმჯდომარე

მაია ხუბუა (თსუ ასოცირებული პროფესორი) - მოადგილე

ია კირვალიძე (თსუ ასისტენტ პროფესორი) - მდივანი

თეიმურაზ დოჭვირი (თსუ ასოცირებული პროფესორი)

მაია ბიწკინაშვილი (თსუ ასოცირებული პროფესორი)